№ 158

შაბათი, 25 ივლისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 158

შაბათი, 25 ივლისი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის ხელის მოსაწერად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

**ბუნება და ცხოვრება**

ილ. ალ ხაზიშვილისა

ფასი 60 კაპ.

ვინც ზემოხსენებულ მაღაზიებიდგან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 48 კ. ათის ცალის გაგზავნა ღირს 37 კ. (20—84—15)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. ბურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანახმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც-კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

ფას-დაკლებით წიგნები მარტო ამხანაგობის კიოსკში იყიდება. ქ. ტფილისში, დოლის-მეღიძოვის ქუჩაზედ.

ქალაქ-გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское издательское Товарищество.

წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:

| | |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე . . . . . | 1—„ |
| თხზ. ი. ჭავჭავაძისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . | „—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბახანასი . . . . . | „—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (შესვლომიმი) . . | „—20 |
| თხზ. ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I ტომი . . . . . | „—70 |
| იგივე II ტომი. . . . . | „—60 |
| იგივე III ტომი . . . . | „—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნათ) | „—80 |
| სოფლის გუნწულა დ. მახხანელისა. . . . . . . | „—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტ. | „—60 |
| „ „ იგივე II ტ. | „—60 |
| თხზ. რ. ერისთავისა I ტ. | „—60 |
| არაკები საბა ორბელიანისა, ბავშვებისათვის . . . . | „—25 |
| სიბრძნე-სიცრუვე მისივე . . | „—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტტოსი . . . | „—20 |
| აივენგო ვალტერ სკოტისა | „—50 |
| ალა-მაჯმად-ხანის შემოსვლა ტფილისში . . . . . . | „—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსი სურათით | „—15 |
| სამზარეულო ქართული და ევროპიული საჭმელებისა . . | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა . . | 1—50 |
| ბაღაკარი . . . . . . . | „—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა . . | „—80 |
| დასტურ-ლამა . . . . . | „—10 |

ვინც აქ გამოცხადებულ წიგნებს ყველას ერთბაშად იყიდის, დაეთმობათ 14 მანეთათ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ გაეგზავნებათ წიგნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წიგნების ფასთან ფოსტის ხარჯსაც გამოგზავნიან ერთს მანეთს.

ამ ფასებად წიგნები გაიყიდება მხოლოდ 1 ოქტომბრამდე.

წარსულის წლების ჟურნალი „მოამბე" გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—7 მანეთად და 1896 და 1897 წ. წ.—5 მანეთად. მხოლოდ ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის „მოამბე"-ზედ ფოსტის ხარჯად 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. (10—6—8)

## მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა თავისისავე თხოვნით ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის პირველის ნაწილის მომრიგებელ-შუამავლის თანამდებობის აღმასრულებელი, კოლეჟსკი სეკრეტარი თავადი ერისთავი.

გადაყვანილ იქმნა: უუბანის ნაწილის მომრიგებელ-შუამავლის თანამდებობის აღმასრულებელი ოცხელი—ბაქოს გუბერნიის გეოგჩაის ნაწილში.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი ამ თვის 29-ს კოჯრიდგან ტფილისს ჩამოვა და მეორე დღეს აქედგან აბასთუმანს გაემგზავრება. 8 ან 9 აგვისტოს თავ. გ. ს. გოლიცინი მოსკოვს გაემგზავრება განსვენებულ იმპერატორის ალექსანდრე II ძეგლის კურთხევაზედ დასასწრებლად.

*** კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე კოჯორიდგან ტფილისს ჩამოვიდა ხუთშაბათს, 23 ივლისს.

*** დღეს, 25 ივლისს, ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი ბიკოვი ტფილისიდგან მიდის გორის მაზრაში.

*** ჩვენ დავათვალიერეთ გუშინწინ, 23 ივლისს, მცხეთის ტაძარი და აღმოჩნდა, რომ კედელი არ გამსკდარა, როგორც გაზეთები იუწყებოდნენ, მხოლოდ გაჯი აქა-იქ ჩამოცვივნულია და ეს გარემოება წირვა-ლოცვის შეყენებას არ მოითხოვს. მაინც ეს დიდებული ტაძარი იმდენად არის დაზიანებული, რომ მისი დროზედ განახლება ერთს უმთავრესს საჭიროებას შეადგენს.

*** მთავრობის განკარგულების თანახმად ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებლების დირექტორი ბ-ნი გროზდოვი 27—28 ივლისს შეუდგება, სხვათა შორის, სომხების ნორაშენისა და თანდოევის აწ მთავრობისაგან გაუქმებულ სასწავლებლების ქონების ჩაბარებას.

*** მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ტფილისის სახელოსნო გამგეობის მსახურთ საჩივარი მიართვეს ბ-ნ გუბერნატორს, რომ ხელოსანთა მოურავი სერობიანცი აგერ 3—4 თვეა ჯამაგირს არ გვაძლევსო და ლამის შიმშილით დავიხოცნეთო, რადგანაც სახლიდგან გვითხოვენ და ნისიად არავინ აღარ გვაძლევს საჭმელ-სასმელსაო. ამის გამოსაძიებლად ბ-ნმა გუბერნატორმა საგანგებო სა-

# ფელეტონი

### წერილი ინგლისიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისა)

### ინგლისის მხატვრობა *)

### II

თანდათან ევროპა დიდს ყურადღებას აქცევს ინგლისის მხატვრობას. დიდი ხანი არ გასულა მას აქედ, რაც აქაურს მხატვრობას დასცინოდნენ, ხოლო ეხლა-კი მხნედ მოჰკიდეს ხელი ამ მხატვრობის შესწავლასა და უნდა მოგახსენოთ, რომ ხშირად ძლიერ მოსწონთ აქაური მხატვრობა და გაოცებულნი და გაკვირვებულნიც არიან. ჩემის აზრით, ინგლისის მხატვრობაში საოცარი და საკვირველი არაფერია, მაგრამ ის-კი სრული ჭეშმარიტებაა, რომ აქაური მხატვრობა არ ჩამოუვარდება სხვა ქვეყნების მხატვრობასა. ისეთის მცოდნე კაცის აზრი, როგორიც არის როშფორი — სრულებით გადამეტებული არ არის. როშფორმა სთქვა, რომ ღირს კაცმა მხატვრობა ისწავლოს მილლესა, ვატტსისა, ბენ ჯონსისა, ლეიტონისა და სხვა წარჩინებულ მხატვრებისაგანაო. ეს მხატვრები (ყველა მათგანი და აგრეთვე კიდევ დ. როზეტტი, ტადემი, ვალტერ კრენი, კერკომერი, პოინტერი ევროპაში კარგად არიან ცნობილნი. ამათში ბევრმა მხოლოდ ეხლა გამოიჩინა მხატვრობის ნიჭი). ყველანი ძლიერ არიან დახელოვნებულნი მხატვრობაში და იმათ მიერ დახატული სურათები არაფრით ჩამოუვარდება საფრანგეთის უკეთეს მხატვრების სურათებს.

უნდა მოგახსენოთ, რომ, როდესაც კაცი ჰხედავს ბონნისა და კაროლიუს დიურანის სურათებს და ადარებს ვატტსის სურათებსა, არ იცი, რომელი უფრო უკეთესია. ვატტსის მიერ დახატული სურათები დარვინისა, კარლეილისა, მილლისა, ტენისონისა, მორის როზეტისა, ლეიტონისა და სხვ. ისევე კარგია, როგორც საფრანგეთის სახელოვან მხატვრებისა, ხოლო ადამიანის ხასიათის გამოხატვის მხრივ ვატტსის სურათები შეიძლება უკეთესიც იყოს. დარვინისა და ლეიტონ ს სურათები, ჩემის აზრით, გვერდში უნდა ამოვუყენოთ ვაინდეიკისა და ველასკეზის სურათებს. თუ მკითხველს უნახავს დარვინის სურათი, რომელიც ჩართულია ბ. მ. ანტონოვიჩის მიერ დაწერილს ბიოგრაფიაში, ამ პატარა სურათითაც შეუძლიან გაიგოს, რაოდენი გონიერება, მორიდება დიადის ბრძენისა გამოხატა ვატტსმა დარვინის მთელს სურათში. ყველა სურათები ვატტსისა იმით განირჩევა სხვა სურათებისაგან, რომ ნათლად არის გამოხატული თვით ხასიათი დიდებულ კაცთა. ასეთი შეგნება ფილოსოფოსთა, მგოსანთა და სხვა დიდებულ მოღვაწეთა ხასიათისა შეუძლიან მხოლოდ დიდად განათლებულსა და გონიერს მხატვარს. ყოველივე ეს მშვენივრად არის შეხამებული ვატტსის სურათებში. განსაკუთრებით საუცხოვო არის სურათები „იმედი", „მამონა", „მინოტავრი", „Sic transit gloria" და მრავალი კიდევ სხვა.

საზოგადოდ, ინგლისელების მიერ დახატული სურათები ადამიანთა ყოველთვის ძლიერ კარგები ყოფილა რეინოლდმა და გენსბირომ წარსულ საუკუნის დამლევსა და ამ საუკუნის დასაწყისში მეტად განავითარეს ეს ხელოვნება. ამ გვარად ვატტსზე ადრე ჯერ სხვები იყვნენ დახელოვნებულნი მხატვრობაში. უფრო სუსტნი იყვნენ ინგლისელები საისტორიო სურათების ხატვაში. მაგრამ აქაც მილლემა და ლეიტონმა თავი იჩინეს და ეს ხელოვნება წინ წასწიეს. ეჭვი არ არის, რომ მილლე უდიდესი მხატვარია მთელს ინგლისში. გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ მილლე თვით ტიციანს შეედრება. ადამიანის სხეულის ხატვაში მილლეს ბადალი არა ჰყავს. რაც-კი იმის მიერ დახატულს სურათს გარს ახვევია, მიდამო იქმნება, ოთახი თუ ტაძარი, ყველა ეს დიდის ხელოვნებით არის ხოლმე გადმოცემული. მილლეს მიერ დახატული „მიმომავალი რაინდი", „დამშვიდების ველი", „მოწაფე", „მოწყალება" და სხვ. სწორედ რომ საუცხოვოა. ეს სურათები ამშვენებენ ინგლისის მხატვრობის გამოფენის ადგილს, რომელსაც სახელად ეწოდება Tate gallery.

უფრო ნაკლები თავისებურება ეტყობა მხატვარს ლეიტონს. ზოგიერთ იმის ნაწარმოებს გერმანიის სკოლის გავლენა ეტყობა და განსაკუთრებით კაულბახისა. მაგრამ ეს გარემოება მაინც ხელს არ უშლის ლეიტონს და იმის მიერ ნახატი სურათები საბერძნეთისა და რომის ცხოვრებიდგან სწორედ რომ საუცხოვოა. ხომ თვით რუბენსზე ჰქონდა გავლენა პაოლო ვერონეზს, მაგრამ მიუხედავად ამისა რუბენსი რომ შესანიშნავი მხატვარი იყო—ამას ლაპარაკი არ უნდა.. თუ მხატვარი არ ემონება თავისს მასწავლებელს, ეს ხომ წარმატების ნიშანია. იქმნება ინგლისის მხატვრობამ იმიტომ წაიწია წინ, რომ საუკეთესო მხატვრები სცდილობდნენ სინიდისიერად შეესწავლათ მხატვრობა იტალიისა, საფრანგეთისა და ფლამანდიის სკოლისა? წაბაძვა მხატვრობაში ხელს უკრავს ხელოვნებას. ამის მაგალითს წარმოადგენენ დო-რაფაელისტები (preraphaelite) ბენ ჯონს და სხვ., ვინც-კი ჰბაძავდა ბატიჩელის.

ვ. მარველი

*) იხ. „ივერია", № 154.

ქმეთა მოხელე თავ. ა. ა. ბებუთოვი დანიშნა, რომელსაც ამ ჟამად გამოძიება დაუმთავრებია და აღმოუჩენია, რომ სახელოსნო გამგეობის კასსაში თურმე ფული სრულიად არა ჰქონიათ. ბ ნ სეროფიანცს იმ აზრით, რომ მოხელეთ ჯამაგირი არ მისცეს, ყველა შემოსავალი ბანკში შეაქვს თურმე. ეს ამბავი თავ. ბებუთოვმა ბ-ნ გუბერნატორს მოახსენა.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა გუშინ დაიბარა ქალაქის მე 9 ნაწილის პოლიციის ბოქაული კუზმინსკი და გამოუცხადა, რომ უფრო ბევრი და ხშირად ქურდობა თქვენს ნაწილში ხდებაო და ამიტომ ყოველივე ღონის ძიება იხმარეთ ამის მოსასპობლადაო.

⁂ ჩქარა მოეღება ბოლო ქიზიყის დეპოს გამო ატეხილ მითქმა მოთქმას. მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოების წევრთა კრება, როგორც დღეს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ განცხადებიდგან სჩანს, დანიშნულია 2 აგვისტოსათვის სოფ. ქვემო-მაჩხაანში. 2 აგვისტო კვირა დღეა და ამიტომ იმედია, რომ მრავალნი დაესწრებიან ამ კრებას. კრებაზედ ჩვენ გვეყოლება საკუთარი ჩვენი წარმომადგენელი და მკითხველებს დაწვრილებით გავაცნობთ ამ კრების ავკარგიანობას კერძოდ და საზოგადოდ ქიზიყის დეპოს საქმეთა მდგომარეობას.

⁂ მისმა უმაღლესობამ ბუხარის ემირმა უბოძა ტფილისის კამენდანტს გენერალ-მაიორს ი. ნ. რეიტერს ბრილიანტებიანი ბუხარის ოქროს ვარსკვლავი.

⁂ მთავარ-მართებელის საბჭოს წევრი კ. ვ. იაკიმოვი პეტერბურგიდან სექტემბერში დაბრუნდება. პეტერბურგში ბ-ნი იაკიმოვი გაგზავნილი იყო იმ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად, რომელმაც საერობო დარაჯის წეს-რიგის შეცვლის პროექტი უნდა შეიმუშაოს. გაზ. „კავკასის“ სიტყვით, ეს საგანი შემოდგომის სესიაზედ წარედგინება სახელმწიფოს საბჭოს განსახილველად.

⁂ ამ ჟამად ტფილისის საბოტანიკო ბაღთან აარსებენ ხეხილის სანერგებს.

⁂ მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მომავალ წელს შავის ზღვის პირის გუბერნიაში ორი საბაღოსნო სასწავლებელი იქმნას დაარსებულიო.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ პირუტყვის პატრონთა ხელის შესაწყობად პირუტყვის რკინის გზით გადაყვანის დროს ყოველ სადგურის უფროსმა იმ კაცს, რომელიც თან მისდევს საქონელს, უნდა მისცეს ხოლმე საქონლისათვის საჭირო წყალი უფასოდ, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ საქონლის წყლის დასალევად საჭირო მოწყობილება, როგორც, მაგალითად, ჩაფი, ვარცლი და სხვა თვით პატრონმა უნდა იშოვოს და არც ერთის წამითაც არ უნდა დააგვიანოს მატარებელი სადგურზედაო.

⁂ იმ კომისიის თავმჯდომარემ, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ტფილისის ცხენის რკინის გზას, წინადადება მისცა უსახელო საზოგადოების დირექტორს, რომ დღეიდგან ნუღარ იხმარებთ მე 8, 13 და 40 №№ ვაგონებს სიძველისა გამო და ან გადააკეთეთ და გაამაგრეთ როგორმეო.

⁂ ტფილისის მოქალაქეთა გამგეობის მოხელეთა არჩევანი, რომელიც დანიშნული იყო 26 ივლისისათვის, გადადებულ იქმნა სხვა დროისათვის.

⁂ კვირას, 26 ივლისს, დ. ხაშურში სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ იქმნება წარმოდგენა. წარმოადგენენ ალ. ყაზბეგის პიესას „არსენას“ და ერთ-მოქმედებიან ვოდევილს.

⁂ კომისიის თავმჯდომარემ, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ცხენის რკინის გზას, ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორს შეუთვალა, რომ რადგან ის ლამპრები, რომლებიც ამ ჟამად დადგმულია ვაგონებში, ხეირიანად ვერ ანათებენ, ამიტომ სხვა უკეთესი ლამპრები დასდგით ვაგონებში, როგორც ხელ-შეკრულებაში არის მოხსენებულიო.

⁂ ტფილისის მე-7 ნაწილის პოლიციის საქმის-მწარმოებელი ბ-ნი პოდგორნი დანიშნულ იქმნა საჩხერეს ბოქაულად.

⁂ რადგან ავჭალაში მუშათათვის ასაგებ სახლის იჯარა არავინ აიღო და 20 ივლისს ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად არავინ მივიდა, ამიტომ ქალაქის გამგეობამ ხელმეორე ვაჭრობა დაჰნიშნა 28 ივლისისათვის.

⁂ ტფილისის ბოქაულებმა უკვე 60 ოქმი წარუდგინეს მომრიგებელ მოსამართლეებს და სახლის პატრონებს ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის ბრალსა სდებენ, ე. ი. ქუჩებსა და კარ-მიდამოს არა ჰგვიან, არ ასუფთავებენო.

⁂ ქუთაისის გუბერნიის გლეხმა მაქსიმე მუკაძემ განაცხადა პოლიციაში, რომ 21 ივლისს, ღამის $11\frac{1}{2}$ საათზედ, პუშკინის ბაღში სამი ვიღაც ბოროტ-გამზრახველი დამეცა თავს და წამართვეს ვერცხლის საათი და 100 მანეთი ფულადაო. ბოროტ-გამზრახველნი იმ ფარდულის უკან ყოფილან დამალულნი, რომელშიაც სხვა და სხვა წყალსა ჰყიდიან.

⁂ ჟურნალ „არარატში“ დაბეჭდილია კონდაკი მათის უწმინდესობის სრულიად სომეხთა კათალიკოსისა, რომელიც მოსვლიათ კავკასიის სომეხ-გრიგორიანთა ეპარქიების უფროსთ. კონდაკით მათი უწმიდესობა წინადადებას აძლევს ყველა უფროსს, რომ ხელი შეუწყეთ თქვენს ეპარქიებში ოსმალეთიდგან გადმოსახლებულ სომეხთ უკანვე დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოშიო.

⁂ ფოთი. როგორც ვიცით, წარსულს თვეს ფოთის ქალაქის საბჭომ დაადგინა ქ. პეტერბურგში გაჰგზავნოს მოურავი ნ. ი. ნიკოლაძე, რათა მან ხელი შეუწყოს ფოთის ნავთსადგურის გეგმის ზოგიერთ ცვლილებათა დამტკიცებას და შემდეგ საზღვარ-გარეთ წავიდეს, რომ ადგილობრივ გაიცნოს ნავთ-სადგურების საუკეთესოდ მომართვა-მოწყობის საქმე. მოურავის მოგზაურობისათვის საბჭომ გადასდო 6,000 მან., მაგრამ ამ დღეებში ცნობა მოვიდა, რომ საბჭოს განაჩენი განასაჩივრა ქუთაისის გუბერნიის მმართველმა ბ ნმა მიკლაშევსკიმ და ქუთაისის ქალაქის საქმეთა საკრებულომ გააუქმა ეს განაჩენიო.

⁂ ქუთაისი. 13 ივლისს, დილის 8 საათზედ, ა. დ. კოგანს მოჰპარეს სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთები 2,500 მან. დამნაშავენი ვიღაც თეოდოსია ტულუბიევისა და აზ. კონროგოვსკი დაპატიმრებულ იქმნენ ქ. ბათუმში, საიდგანაც გემით აპირობდნენ გაქცევას.

დ. ჩიკვაიძის დაჭრის გამო გამომძიებელმა დააპატიმრა თავ. ა. ერისთავი და თავ. ნ. ჩიჩუა. („ახ. მიმ.“)

⁂ დ. ხონი. კვირას, 19 ივლისს, გარდაიცვალა პროვიზორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რომელსაც მცირე ღვაწლი არ მიუძღვის ხონელების წინაშე. ყოველ კეთილ საქმეში ბ-ნი კონსტანტინე ლორთქიფანიძე მხურვალე მონაწილეობას იღებდა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა აქაურ უანგარო მუშაკთა ისედაც მცირე რიცხვს ეს ერთი კაციც გამოაკლო.

⁂ დ. ონიდგან სწერენ გაზ. „კავკასს“: რაჭის მაზრის მკვიდრთათვის პარასკევი ხშირად უბედური დღეა. ამ ბაზრობის დღეს დ. ონში საკმაოდ მრავალი ხალხი იყრის თავს, ქალი და კაცი, ზოგი საქმისა გამო და ზოგი უსაქმოდაც, დროს გასატარებლად. ყმაწვილ-კაცობა ხშირადა ჰქეიფობს, რომელიც თითქმის ყოველთვის ხანჯლის ტრიალით დაბოლოვდება ხოლმე. 17 ივლისს სამმა ყმაწვილმა კაცმა ძმათა თავ. იასონ და პარმენ ერისთავებმა და აზნაურმა გალაქტიონ ჯაფარიძემ შუაღამემდის სვეს ღვინო და ქეიფში გაატარეს დრო, შუა ღამის შემდეგ ძმ. ერისთავებს რიღაცის გამო ლაპარაკი მოუვიდათ ჯაფარიძესთან, ჩვეულებრივ იშიშვლეს ხანჯლები და რევოლვერები და განთიადისას 18 ივლისს ონელებს საზარელი სურათი ჰქონდათ თვალ-წინ. ონის ერთს ქუჩაზედ ერთმანეთის მახლობლად ორი სისხლში მოსვრილი გვამი იდო— თავ. იასონ ერისთავისა, რომელსაც რევოლვერის ტყვია მარცხენა საფეთქელში მოჰხვედროდა და იქვე მოეკლა, და გალაქტიონ ჯაფარიძისა, რომელიც უმოწყალოდ იყო აკუწული ხანჯლით. რვა ჭრილობა ჰქონდა, მათ შორის რამდენიმე სასიკვდილო. ამ საქმის დამსწრე არავინ არის, განსვენებულის იასონ ერისთავის ძმის პარმენის მეტი, რომელიც ამ ჟამად დაპატიმრებულიაო.

⁂ სოფ. შაშიანი, (თელავის მაზრა). კვირას, 12 მკათათვეს, გამართული იყო ქართული წარმოდგენა ბ-ნ აჯიმამუდოვის მოთავეობით. წარმოადგინეს „რაც გინახავს ვეღარ ჰნახავ“, კომედია ა. ცაგარლისა. მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი სცენის მოყვარენი და კარგადაც შეასრულეს თავისი როლები: კატინას როლი ქ. რცხილაძისამ, გიჟუასი—ბ-ნ დ. აშხაურმა, გასპარასი—თავ. ა. ჯანდიერმა, სოსანასი—თავ. ი. ჯანდიერმა, ფიჩხულასი—თავ. გ. ჯანდიერმა, აგრეთვე ჩეკურიშვილმა და კალატოზოვმა. დიდი მადლობის ღირსნი არიან ისინი, რომ მიიღეს მონაწილეობა და გამართეს სოფლად სახალხო წარმოდგენა. ამ წარმოდგენას, ოთხის სოფლის საზოგადოება დაესწრო. ვაჩნაძიანი, კალაური, შაშიანი და ურიათუბანი (ეს ოთხი სოფელი ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ უცხო კაცს ერთი სოფელი ეგონება). გლეხები ძალიან ნასიამოვნები დაბრუნდნენ თავიანთ სოფლებში და პიესამაც კარგად ჩაიარა. სასურველია, რომ ამათ კიდევ გაემეორებინოთ ასეთი წარმოდგენა. სცენის უქონლობით ეს წარმოდგენა საჩეხ ქვეშ იყო გამართული და ხალხი კი ეზოში, ცის ქვეშ ისხდნენ და ყურს უგდებდნენ.

აი, ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ზაფხულობით იმართება თელავის მაზრის სხვა და-სხვა სოფელში სახალხო წარმოდგენები, მაგრამ ყველგან სცენის უქონლობა უშლის ხელს ამ საქმეს. ამდენი ხანია სცდილობს მოთავე ამ წარმოდგენებისა, ბ-ნი აჯიმამუდოვი, რომ მოძრავი სცენა შეიძინოს, მაგრამ ფულის უქონლობის გამო ჯერ ვერ მოუხერხებია. აი, ამ კეთილ საქმისათვის ყურადღება მიუქცევია ერთ საპატიო ქალს და გულმოდგინეთ შესდგომია ფულის შეგროვებას. კარგს იზამენ ჩვენი ქალები— „ასულნი კახეთისანი“, რომ მიჰბაძონ ამას და ამათაც შეაგროვონ თავიანთ შორის და თავიანთ ნაცნობთა შორის ცოტაოდენი რამ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ მოძრავი სცენა ძალიან გააადვილებს უსასყიდლო სახალხო წარმოდგენების გამართვას სოფლად და დიდს სარგებლობას მოუტანს იმ საწყალს გლეხ-კაცობას, რომელნიც მთელი თავიანთი სიცოცხლე სულ შრომაში არიან და გონიერ გართობას იშვიათად ეღირსებიან ხოლმე.

⁂ 23 ივლისს სირაჯხანაში მიდენილა შორაპნის მაზრის სოფ. ოჩარის მცხოვრებელი ამბაკო ოქროს ძე ებანოიძე, რომელიც სოფლიდგან ჩამოსულა და სდომებია ნავთლუღში წასვლა, გზა-კი არა სცოდნია. სირაჯხანაში მას დაჰლაპარაკებია ვიღაცა თათარი და დაჰპირებია ნავთლუღის გზის სწავლებას. ებანოიძეც გაჰყოლია თათარს, რომელსაც ვიწრო ქუჩაში შეუყვანია და იქ გაუძარცვავს: წაურთმევია ქისა, რომელშიაც ებანოიძეს 15 მანეთი ოქროს ფული ჰქონია. თათარი გაქცეულა, მაგრამ იმავე დღეს პოლიციის მოხელეს მაჭავარიანს შეუპყრია. ავაზაკი აღმოჩენილა სპარსეთის ქვეშევრდომი მამად-მეხტი-ალახპერ-ოღლი, რომელიც გუშინ დააპატიმრა სასამართლოს გამომძიებელმა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**რიონის მარცხენა მხარე,** (ქუთაისის მაზრა). თუ იმერეთი ცნობილია როგორც კარგი მოსავლიანი და ნაყოფიერი ქვეყანა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეა ცნობილი მხოლოდ რიონის მარცხენა მხრის წყალობით. ეს მხარე ბუნებისაგან უხვადაა დაჯილდოებული, ბევრი მოდის: სიმინდი, ღვინო, ხილი და სხვა. ადრევე მიღებულ ჩვეულებით აქ ხალხი ძალიან ეტანება სიმინდის მოყვანას. ძნელად თუ იპოვნი იმისთანა გლეხს, რომ ყოველს წელს არა ჰყიდდეს ასს—ორას ფუთს, არიან იმისთანებიც, რომლებიც ხუთასს ფუთამდის ჰყიდიან. რაც შეეხება თავად-აზნაურობას, ისინი ხომ მეტსაც ჰყიდიან. თუმცა აგერ ოთხი—ხუთი წელიწადია, რაც თანდათან აკლდება სიმინდის ფასს, —ასე რომ დღეს აქ ფუთი სიმინდი ჰფასობს 30—35 კ., მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ხალხი მაინც ბეჯითად ეკიდება სიმინდის მოყვანის საქმეს და დროთა ვითარებამ ოდნავაც ვერ შესცვალა მისი მხნეობა და გამრჯელობა ამ საქმეში. ფუთის სიმინდის 30—35 კ. გაყიდვა ჩვენს მხარეში არაფრად სახეირო და სასარგებლოა. იქ, სადაც ქცევა (900 ოთხ-კუთხი საჟ.) მიწა ჰფასობს 40—50 მანეთად, კიდევ არა უშავს-რა, მაგრამ ჩვენში ერთი ქცევა ჰღირს 20—25 თუმნად, ზედ 50 ფუთზედ მეტი არ მოდის, ესე იგი, ეხლანდელ ფასის მიხედვით თხუთმეტი მანეთის სიმინდი, რაც ძლიერ ცოტა სარგებელია ადგილის ღირებულ ფასისა, ხოლო რაც შეეხება ზედ გაწეულ შრომას, ეს ხომ მეტია. მაგრამ ჩვენი გლეხი, სამწუხაროდ, თავისს შრომას არ აფასებს და არც სარგებლის ანგარიშით იმტვრევს თავს.

კიდევ არაფერი ითქმოდა, ნიადაგი იმისთანა იყოს, რომ, სიმინდისა და ფეტვის გარდა, ზედ არაფერი მოდიოდეს. ამ შემთხვევაში რა გაეწყობოდა, ნათქვამია „როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო“, მაგრამ მაგარი ისაა, რომ ნიადაგი, როგორც ზემოდ ვთქვით, კარგია და ყოველიფერს უხვად იძლევა. ჩვენის მხრით საჭიროა მხოლოდ შეგნება იმ აზრისა, რომ, სიმინდის გარდა, სხვა წარმოებითაც შეიძლება ისარგებლოს კაცმა და წინ გაუძღვეს თავის საოჯახო და საზოგადო საჭიროებას. მაგალითად, ოჯახში სახმარად ადვილად მოჰყავთ: თამბაქო, ბამბა, ბოსტნეული, ხილი და სხ. ვითომ რა იქნება, რომ სიმინდი იმდენი მოვიყვანოთ, რამდენიც საკმარისია ოჯახში სახარჯავად და, ფულის შოვნისათვის-კი ხელი მივყოთ თამბაქოს, ბამბის და სხ. წარმოებას, რომელთაც დღეს სიმინდთან შედარებით უფრო დიდი ბაზარი და გასავალი აქვთ. საჭიროა, რომ ამ გარემოებას ჩვენმა ადგილობრივ მემამულეებმა ყურადღება მიაქციონ და იმ გვარ წარმოებას მოჰკიდონ ხელი, რაც უფრო სახეიროა და დროის შესაფერი.

ამასთან არ იქნება მეტი რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ თვით ხვნა-თესვის წესრიგის შესახებ. უნდა შევნიშნოთ, რომ სიმინდის ფასთან ერთად მოსავალმაც შესამჩნევად იკლო. ამის მიზეზად უბრალოდ სთვლიან ვითომ და ჰაერში მომხდარს დიდს ცვლილებას. მართალია, ჰაერსაც ეტყობა ცვლილება, მაგრამ ამ ცვლილებას ხვნა-თესვის საქმეში იმდენი ბრალი არ მიუძღვის, რამდენსაც სდებენ. ჩვენის ფიქრით, უმთავრესი მიზეზი ამ ბოლო დროს მოსვლის დაკლებისა ის გარემოებაა, რომ დროს განმავლობაში მიწა მოიღალა, ისეთი ნაყოფიერი აღარ არის, როგორიც წინად იყო. ამ მოღალულ მიწის დასამუშავებლად საჭიროა შეიცვალოს აწინდელი წეს-რიგი ხვნა თესვისა. თუ ჩვენი მამა-პაპეული კავი და სახნისი უწინდელ დროში კარგს სამსახურს გვიწევდა, ამ სამსახურის გაწევა დღეს არ შეუძლიან. ნაყოფიერებას მოკლებულ მიწას ესაჭიროება ღრმად მოძვრა, ან, როგორც ჩვენში იტყვიან, მოგუთვნა, ამ მხრივ ჩვენი კავი და სახნისი-კი გამოუსა-

დეგარია, იგი მაშინ იყო კარგი, როცა თესლს მიწით დაფარვის მეტი არ ესაჭიროებოდარა, რადგან ეს თესლი ღრმადაც რომ არ ყოფილიყო ჩავარდნილი მიწაში, ზევითაც საკმარისს ნიადაგს და საზრდოს ჰპოულობდა. დღეს-კი, რადგან ზემო პირი მიწისა მოღალულია და ნაყოფიერებას მოკლებული, საჭიროა თესლის ღრმად მიწაში ჩაგდება, რაც შესაძლოა მხოლოდ გუთნის საშუალებით და არა აწინდელის კავ-სახნისით. ამ გარემოებას კიდეც მიაქცია ყურადღება სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ და დიდ-ძალი ახალის სისტემის გუთნები აქვს გამოწერილი. ერთი ამგვარი გუთანი ჩვენშიაც მოიტანა ადგილობრივ მემამულემ აზ. შარაშანიძემ და, ვნახოთ, როგორ ისარგებლებს ის ამ გუთნით და მისის მაგალითით ჩვენი ხალხიც, და ახალს ცხოვრების როგორს უნარს გამოიჩენს ან ერთი და ან მეორე.

როგორც სხვაგან, ჩვენ მხარეშიაც აბრეშუმმა წრეულს ძალიან იხეირა და ბევრი ფულიც შემოგვძინა ამ ქესატობის დროს. ოჯახი არ დარჩენილა, რომ ერთი ყუთი აბრეშუმის თესლი მაინც არა ჰქონოდეს და ცოტა თუ ბევრი არ ეხეირებინოს, ასე რომ, ორთა შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, თითოეულს მოსახლეს 15—20 მანეთამდის ერგო. აბრეშუმის მოვლა-მოშენებას ძალიან ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ აქ ჰიის საკვები თუთის ხე კარგად ჰხარობს და ბევრიცა აქვთ დარგული. სამწუხაროდ, ჩვენში პარკს ისეთი ფასი არა ჰქონდა, როგორც სხვაგან ჰქონია, აქ 11—13 მანეთზედ მეტად ფუთი არ გაყიდულა, მაშინ როდესაც სხვაგან 15—18 მანეთამდის იყიდებოდა. ფასის სიცოტავე კიდევ არაფერია, რომ წონა მაინც ყოფილიყო რიგიანი, მაგრამ ამმხრივაც ისახელეს თავი წრევანდელმა პარკის მყიდველებმა. ფუთზედ სამიოთხი გირვანქა ისე მიჰქონდათ ნაპარავად, რომ ამისთვის ბოდიშის მოხდასაც არა სთვლიდნენ საჭიროდ. პარკის აღებ-მიცემაში უფრო ის არის საკვირველი, რომ პარკს სწონავენ სიმინდის სასწორით (თერეზით), რომელიც ოთხ-ხუთ ვირვანქას ისე იპარავს, რომ ძალიანაც რომ დააკვირდე, მაინც ვერ შენიშნავ. ამგვარის სასწორით სწონავდნენ პარკს სოფელ ჰყვიშში, სადაც ერთ ვილაც ბერძენს აგებული აქვს პარკის სახარში და სადაც მოჰქონდათ გასასყიდი პარკი ყველა ახლო-მახლო სოფლებიდგან. იმედია, რომ მომავალში მაინც ეს პარკის აღებ-მიცემობა შესაფერს ნიადაგზედ იქნება დაფუძნებული და ამით ბოლო მოეღება ეხლანდელ პარკის ვაჭართა ძარცვა მგლეჯელობას.

ყოფილი მოხელე

# რუსეთი

—

ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ პეტერბურგსა ან მოსკოვში დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული სასწავლებელი საქალაქო არქიტექტორთა მოსამზადებლადაო.

— უმაღლესმა მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ წერილები და კორესპონდენციები საფოსტო მატარებლების გარდა სახალხო მატარებლებითაც გაიგზავნ-გამოიგზავნოს ხოლმეო.

— დღეიდგან სამასწავლებლო სემინარიებთან ერთ-კლასიან სასწავლებლების მაგიერ დაარსებულ იქმნება ორ-კლასიანი სასწავლებლები და მოსწავლეთ იგივე უფლება მიენიჭებათ, რაც სოფლების ორ-კლასიან სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთ ეძლევათ.

— აძ ჟამად პეტერბურგში მთავრობისა და კერძო კაცთა მიერ დაარსებულ სასწავლებელთა რიცხვი 730 ასულა.

— პეტერბურგის გუბერნიის სამღვდელოებას განუზრახავს ვრცლად აღწეროს გუბერნიის ყველა ეკლესია და სამრევლო და არხივებში შენახულ საბუთების მიხედვით აღწერაში მოათავსოს ისტორიული ცნობები ეკლესიების და სამრევლოების დაარსების შესახებ. სამღვდელოებას უკვე ხელი მიუყვია მუშაობისათვის.

## † გენერალ ადიუტანტი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი

(ნეკროლოგი)

15 ივლისს მინსკის გუბერნიაში უეცრად გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი, გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი თავადი ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ მირსკი. განსვენებული დაიბადა 1833 წელს. სწავლის დამთავრების შემდეგ თავადი მსახურებდა კავკასიაში ერივანის ჯარში პორუჩიკად და პირველს ხანს თავი ისახელა ბაშკადიკლარისა და კიურიუკდარას ბრძოლის დროს. 1856 წელს სვიატოპოლკ მირსკი გენერალ-ადიუტანტის თავადის ბარიატინსკის ადიუტანტად იქმნა დანიშნული. 1865 წელს განსვენებულმა გენერალ-მაიორობა მიიღო, ხოლო 1876 წელს ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა და მე-9 ქვეითა დივიზიის უფროსად იქმნა დანიშნული. უკანასკნელ რუს-ოსმალეთის ომის დროს თავადი ამ დივიზიას მიუძღოდა წინ. ამ ომის დროს თავადმა მიიღო წმ. ანნას პირველ ხარისხის ორდენი და წმ. გიორგი მე-3 ხარისხისა. 1881 წელს სვიატოპოლკ-მირსკი დანიშნულ იქმნა დონის უაზახთა ჯარის ატამანად, ხოლო 1898 წელს სახელმწიფო საბჭოს წევრად.

# უცხოეთი

—

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** დიდის ხნის მოლოდინის შემდეგ, როგორც იყო, მეომარ სახელმწიფოთ მოლაპარაკება დაიწყეს ზავის შესახებ. პირველმა, რასაკვირველია, ესპანიამ მოითხოვა ომის მოსპობა და ზავის დადება. ამ შინაარსის ნოტა გადასცა მაკ-კინლეის ამერიკაში მყოფმა საფრანგეთის ელჩმა კამბონმა, რომელსაც ესპანიის მთავრობამ დაავალა ზავის შესახებ მოლაპარაკების დაწყობა: „შეერთებულმა შტატებმა და ესპანიამ, საუბედუროდ, ამ რამდენისამე თვის წინად ომი დაიწყეს, მიზეზი ამ ომისა ის იყო, რომ შეერთებულმა შტატებმა მოსთხოვეს კუბის განთავისუფლება ესპანიას, მაგრამ ამ უკანასკნელმა ეს მოთხოვნილება არ აღასრულა. ამ სიტყვიერ შეტაკებას მოჰყვა ბრძოლა, რომლის დროსაც ამერიკამ გაიმარჯვა. ესპანია ამას უარს არა ჰყოფს. ომმა ესპანიას დიდი ზარალი და ვნება მიაყენა, ამიტომ ესპანიის მთავრობა საჭიროდ სცნობს, მიჰმართოს შეერთებულ შტატებს და სთხოვოს, რომ ომი მოსპობილ იქმნას. მთავრობა თხოულობს შეატყობინონ, საფრანგეთის ელჩის პირით, ის პირობები, რომელიც შეერთებულის შტატების აზრით საჭიროა ზავის დასადებათ“. მაკ-კინლეი დიდის სიამოვნებით მიეგება ამ წინადადებას და ამ რიგად მოლაპარაკება მებრძოლ სახელმწიფოთა შორის უკვე დაიწყო. როგორც დეპეშებიდგან უთუოდ ეხსომებათ მკითხველებს, შეერთებული შტატები ესპანიას ფულს არა სთხოვს. იმასა ჰსურს მხოლოდ, რომ ესპანიამ განთავისუფლოს კუბა, დაუთმოს ამერიკას პორტო-რიკო და რამდენიმე ქალაქი ნახშირის საწყობების გასამართავად სხვა კუნძულებზედ. რაც შეეხება ფილიპის კუნძულებს, ამერიკამ შეუთვალა ესპანიას, რომ ამ კუნძულების შესახებ მერე მოვილაპარაკოთო. ამ რიგად ამერიკა თავის სასარგებლოდ უმთავრესად პორტო-რიკოსა თხოულობს. პორტო-რიკო სიდიდით ვესტ-ინდიის კუნძულებს შორის კუბის შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს. როგორც კუბასა, აქაც ამბოხება წინად არა ერთხელა და ორჯელ ყოფილა. დიდი ამბოხება 1867 და 1868 წლებში მოხდა, როდესაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოიწადინეს პორტო-რიკოში დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსება. პორტო-რიკო კუბიდგან 500 მილის სიშორეზედ მდებარეობს. იგი კუბაზედ ცამეტჯერ პატარაა. მაგრამ სამაგიეროდ ჰკვა უკეთესია: ციებ-ცხელება პორტო-რიკოში იშვიათად იცის. ბუნების სიმდიდრით ეს კუნძული კუბას არ ჩამოუვარდება: კარგად ხარობს იქ შაქრის ლერწამი, ყავის ხე, თამბაქო, ბანანი, ბრინჯი და სხვა; მთა ადგილებში პურიც კარგი მოდის. პორტო-რიკოში მხოლოდ სამი ხეირიანი ნავთ-სადგურია: სან-ჟუანი, გაიაგვეტი და გვანიკა. კუნძული მეტად მიუდგომელი და ძნელი ასაღებია. მცხოვრებელთა რიცხვი ნახევარ მილიონს არ აღემატება. ამ საუკუნის ნახევრამდე პორტო-რიკოს მცხოვრებლებს შეადგენდნენ ზანგები და მულატები, ხოლო მას შემდეგ ბევრი დასახლდა იქ ესპანელიც. თუმცა უთანხმოება ახლად გადმოსახლებულ ესპანელებსა და წინანდელ მცხოვრებს შორის აქაც არსებობს, მაგრამ ეს უთანხმოება ისე არ არის გამწვავებული, როგორც პორტო-რიკაში. თვით მთავრობა აქაურ მცხოვრებლებს ისე არავიწროებს, როგორც კუბის მცხოვრებლებს.

— თუმცა ზავის შესახებ მოლაპარაკება უკვე დაიწყეს, მაგრამ ბრძოლა ჯერ არ შეუწყვეტიათ. პირ-იქით, ამ დღეებში ამერიკელებმა პორტო-რიკოს რამდენსამე ადგილს ჯარი გადასცეს. თვით გენერალი მაილსი კარგა ბლომა ჯარით სამხრეთ ნაპირზედ გადავიდა. ამ ჟამად კუნძულში ამერიკას სულ 24,000 ჯარის კაცი ჰყავს, ხოლო ესპანიას 15,000. ამერიკელებს აზრადა აქვთ ჯერ კუნძულის დედა-ქალაქი სან-ჟუანი აიღონ და შემდეგ სხვა ადგილები. ამ ქალაქის აღების დროს ხმელეთის ჯარს სამხედრო ესკადრაც დაეხმარება. ესკადრა უკვე გაემართა სან-ჟუანის ნავთ-სადგურისაკენ.

—

**ესპანია.** როგორც გაზეთები იუწყებიან, კარლისტთა მოძრაობა დღითი-დღე იზრდება. ბევრს პროვინციაში კარლისტების შეიარაღებული რაზმებიც-კი გაჩნდა. სოფლის ის მცხოვრებლნი, რომელთაც დონ-კარლოსის მხარი უჭირავს, მუშაობას თავსანებებენ და საომრად ემზადებიან. ამას სხვა და-სხვა ქარხნების მუშათ ამბოხება და ჟურნალ-გაზეთების უკმაყოფილებაც ზედ დაერთო. ამ ბოლოს დროს მთავრობამ სასტიკი ცენზურა შემოიღო. ცენზორები იმდენს ჰშლიან, რომ ყოველ დღე გაზეთები თითქმის ნახევრად ცარიელი გამოდიან. ამ გარემოებამ გაზეთების მკითხველებიც-კი აალაპარაკა. ამიტომ მინისტრ-პრეზიდენტმა უბრძანა გამომცემლებს, რომ გაზეთში ცარიელი ადგილი არ დასტოვონ და რამე უმნიშვნელო მასალით შეავსონ ხოლმე. ასეთის ბრძანების წყალობით, გაზეთებმა მეტად უცნაური სახე მიიღეს. ერთმა გაზეთმა, მაგალითად, მეთაურის მაგიერ, რომელიც ცენზორმა ამოშალა, თვით მინისტრ-პრეზიდენტის საგვარეულო ბიოგრაფია მოათავსა. იმავე გაზეთმა მეორე დღეს, ამოშლილის სტრიქონების ნაცვლად, ერთის რომანის ნაწყვეტი დაჰბეჭდა. სხვა გაზეთებიც ასევე იქცევიან. ზოგი დაბადების სიტყვებსაც კი ჰბეჭდავს.

—

**გერმანია.** სოციალ-დემოკრატთა გამარჯვება უკანასკნელ არჩევანების დროს მთავრობას მოსვენებას აღარ აძლევს. მთავრობა უკვლე დონესა დონობს გამოიკვლიოს ის მიზეზები, რა მიზეზების წყალობითაც ასე ძლიერდება ეს დასი, რომ უფრო კარგად ებრძოლოს მას. ამ დღეებში, მაგალითად, პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბარონმა ფონ-რეკემ მიჰმართა ოლქის უფროსებს და სთხოვა, შეატყობინონ დაწვრილებით ცნობები იმის შესახებ, რა მიზეზების გამო ძლიერდება დღითი დღე სოციალ-დემოკრატთა დასიო. ამასთანმინისტ-პრეზიდენტმა მოსთხოვა ოლქის უფროსებს სოციალ-დემოკრატთა მიერ დაბეჭდილი ფურცლები, პროკლამაციები და სხვა.

# ნარევი

—

ერთმა მკურნალმა, რომელსაც ხალხი აგრე რიგად არ ეტანებოდა, მკურნალობას თავი დაანება და მხატვრობას მიჰყო ხელი. ყველას უკვირდა, რად გამოიცვალა ხელობა, მით უფრო, რომ მხატვრობის ნიჭი არა აქვსო.

— ტყუილად გიკვირთ, მალიან კარგადა ჰქმნაო, სთქვა ერთმა მისმა მეგობარმა: ეხლა ყოველს იმის შეცდომას, როგორც მხატვრისას, მთელის ქვეყნის წინაშე გამოჰფენენ ხოლმე და მკურნალად-კი რომ დარჩენილიყო, ყოველი მისი შეცდომა მიწაში იქმნებოდა ჩაფლულიო.

## შემოწირულება

ჩვენ მივიღეთ პ. ნასიძისაგან ქიათურის რკინის გზის შტოზედ მოსამსახურე მოხელეთა შორის შეკრებილი 121 მან. მეფის ერეკლე მეორის სახელობის ფონდის სასარგებლოდ. სულ ბ-ნს პ. ნასიძეს შეუკრებია 121 მან. 83 კაპ., 83 კაპ. ფოსტის ხარჯად დახარჯულა. აქვე ვბეჭდავთ შემომწირველთა სიას:

გ. ავგერინოს 3 მან., პ. ნასიძე 3 მან., ა. ბაქრაძე 2 მან., ლ. თეოფილაკტოს 2 მან., ა. ვართანიანც 2 მან., დ. ბესარიონოვ-კიკნაძე 2 მან, ი. შარუხია 2 მან., მ. მშვენიერაძე 2 მან., ა. ქლენტი 2 მან., ა. აირაპეტიანც 1 მ., ფ. ჩიკოიძე 1 მ., გ. ქუმსიშვილი 1 მ., გ. დეკანოიძე 1 მ., ღ. გოგოლიშვილი 1 მ., მ. ზაქარია-შვილი 1 მ., ვ. ღარიბაშვილი 1 მ., მ. მაპაროვი 1 მ., ა. ჩხეიძე 1 მ., დ. ბებიაშვილი 1 მ., პ. ვაშკლევიჩი 1 მ., მ. რუხაძე 1 მ., რ. გაჩეჩილაძე 1 მ., ს. გაჩეჩილაძისა 1 მ., ვ. ბაქრაძისა 1 მ., კ. ჩხეიძე 1 მ., რ. მაჭავარიანი 1 მ., არშაკ ჯალალოვი 1 მ., არტემ ჯალალოვი 1 მ., პ. ცქიტიშვილი 1 მ., ი. ცქიტიშვილი 1 მ., ი. კაპანაძე 1 მ., დ. გერსამია 1 მ., პ. სიმიონოვ 1 მ., კ. ბანცაძე 1 მ., ი. მდივანი 1 მ., ა. საკოვი 1 მ., ი. იეროღლი 1 მ., მ. მაისაშვილი 1 მ., ვ. ზუბაძე 1 მან., ნ. ტურეკ 1 მ., ტატო 1 მ., ფ. დოლიძე 1 მ., მ. ზახაროვ 1 მ., ე. კვირიკაშვილი 1 მ., პ. კალატოზი 1 მ., ა. ჟარჩინსკი 1 მ., ა. ტელიაროვ 1 მ., ნ. ღოღობერიძე 1 მ., კ. კაკვაძე 1 მ., ვ. ქორქაშვილი 1 მ., თ. ფერაძე 1 მ., ა. კურპანოვ 1 მ., რ. გელეიშვილი 1 მ., ს. დურგლაძე 1 მ., ტ. კაპანაძე 1 მ., ს. ცქიტიშვილი 1 მ., ნ. ჩხეიძე 1 მ., ევროპიდი 1 მ., ა. ნიორაძე 1 მ., მიხაილოვ 1 მ., მ. გუჯაბიძე 1 მ., ა. გურჯია 1 მ., ს. უჯმაჯურიძე 60 კაპ., ფ. მელიავა 60 კ., ს. ჯამბატოვი 60 კ., ნ. საყვარელიძე 60 კ., პ. ჩუბინიძე 50 კ., ნ. მერკვილაძე 50 კ., დ. ბებიაშვილი 50 კ., ვ. შანიძე 50 კ., ვ. ყორყოლაძე 50 კ., ა. ფერაძე 50 კ., ნ. ჩაიკოვსკი 50 კ., გ. ოყროშაძე 50 კ., ა. გარშკოვ 50 კ., გ. აბესაძე 50 კ., ვ. შავდია 50 კ., ა. შავდია 50 კ., გ. გუნცაძე 50 კ., დ. ვაშკლევიჩისა 50 კ., ს. ქიპაშვილი 50 კ., მ. ჩხეიძე 50 კ., დ. კუტაიძე 50 კ., მარჯანოვი 50 კ., ვ. შენგელია 50 კ., მ. თოდრია 50 კ., ს. მარდალეიშვილი 50 კ., ე. გურული 50 კ., ნ. სურმავა 50 კ., ს. შავიძე 50 კ., ა. თაბაგარი 50 კ., კ. ამილახვარი 50 კ., მ. ახრახაძე 50 კ., ნ. გაჩეჩილაძე 50 კ., ს. გიგუაშვილი 50 კ., მ. ქლენტი 50 კ., ს. კალანდაძე 50 კ., ბ. მესხი 50 კ., ი. ღვანიძე 50 კ., ა. ქურციქიძე 50 კ., ვ. ლუპიანი 50 კ., ვ. ავალიშვილი 50 კ., თ. ახრახაძე 50 კ., გ. საყვარელიძე 50 კ., ვ. ატამანოვ 50 კ., ი. ციკრიძე 50 კაპ., გ. მაცაბერიძე 50 კ., ს. კირვალიძე 50 კ., ნ. ჰყონია 50 კ., პ. ჩხეიძე 50 კ., ნ. ერმოხინ 50 კ., ი. გ—ძე 50 კ., პ. ქარკევიჩი 50 კ., ს. ქაცარავა 50 კ., ი. ფუტკარაძე 50 კ., გ. თუხარელი 50 კ., ს. ქაიავა 50 კ., კ. ღლონტი 50 კ., ნ. ჯიქურიძე 50 კ., ე. ცერცვაძე 50 კ., ა. ანდრეული 50 კაპ., ო. ჩხეიძე 50 კაპ., გ. ფხალაძე 50 კ., გ. გულისაშვილი 50 კ., ს. გუგუშვილი 50 კ., გ. ბარბაქაძე 50 კ., ს. ქლიბაძე 50 კ., ს. ხარაძე 50 კ., დ. ხუნდაძე 50 კ., კ. მაჭავარიანი 50 კ., გ. მუმლაძე 40 კ., ი. მიშინ 40 კ., ი. საყვარელიძე 40 კ., მ. მაჭავარიანი 40 კ., გ. კვინიკაძე 40 კ., თ. მეტრეველი 40 კ., ი. ქამუშაძე 40 კ., ი. ჯაოშვილი 40 კ., ზ. ცქიტიშვილი 40 კ., ე. ამაშუყელი 40 კ., ი. გობერიძე 40 კ., ს. ებანოიძე 40 კ., ა. სვანიძე 30 კ., ს. ჯავახაძე 30 კ., ი. ძაგნიძე 30 კ., დ. ბელტაძე 30 კ., ს. კოტრიკაძე 30 კ., ი. გაბუნია 30 კ., გ. გაზაშვილი 30 კ., ი. ბერძნიშვილი 30 კ., ნ. გერსამია 30 კ., ტერპილოვსკი 30 კ., ა. ლომტაძე 30 კ., ი. მშვენიერაძე 30 კ., ნ. შანიავა 30 კ., მ. კახიძე 30 კ., ს. ეჯუევ 30 კ., ს. შეყრილაძე 30 კ., ტ. ლოლაძე 30 კ., ნ. ცანაძე 25 კ., ვ. ხარაიძე 25 კ., ს. ფერაძე 25 კ., ს. ახრახაძე 25 კ., დ. ჭუმბურიძე 20 კ., მ. ვაჭარაძე 20 კ., ა. ბოჭორიშვილი 20 კ., პ. ყაზახოვი 20 კ., გ. ზვადაძე 20 კ., ი. ყაჭიშვილი 20 კ., ი. ვაშაკიძე 20 კ., ი. გეწაძე 20 კ., ი. მარგველაშვილი 20 კ., გ. ნიორაძე 20 კ., დ. ჰიქიძე 20 კ., ი. ბარბაქაძე 20 კ., ვ. ჟორჟოლიანი 15 კ., გ. ფხალაძე 10 კ., პ. ნიორაძე 10 კ., თ. ხელაძე 10 კ., ი. იურსონ 10 კ., ვ. გორგაძე 10 კ., ს. სუბელაშვილი 10 კ., ე. ვაშკლევიჩისა 10 კ., გ. კიკნაძე 9 კ., მ. ბაქრაძე 4 კ., ი. მორჩაძე 15 კ.

სულ 121 მ. 83 კ.

# ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნი: „Матеріалы для геологіи Кавказа“. Серія третья. Книга первая.

წიგნში მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1, Золото на Кавказѣ.—ნ. ლებედევისა. 2, Геологическія изслѣдованія и поиски на золото въ долинѣ р. Чороха.—ნ. ლებედევისა. 3, Геологическія наблюденія въ области междурѣчнаго водораздѣльнаго плоского рья р.р. Іоры и Куры въ предѣлахъ Тифлисъ—Сомухѣ—ს. სიმონოვიჩისა. ეს წერილები წიგნში დაბეჭდილია ფრანგულსა და რუსულს ენაზედ. წიგნს ბოლოში ჩართული აქვს ორი რუქა. წიგნი დიდის ფორმატისაა და შეიცავს 243 გვერდს.

ამ წიგნთან ერთად მივიღეთ სამი პატარა წიგნაკი ბ-ნ სიმონოვიჩის მიერ შედგენილი ფრანგულს ენაზედ: 1, „სურამიდგან ქუთაისამდე ამიერ-კავკასიის რკინის გზით“. 2, „ქუთაისის მიდამოები და რიონის ველი ქუთაისსა და მამისონის გადასავალ შუა“ და 3 „ტყვიბულში მოგზაურობა“.

### წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ წლევანდელ მე 139 და 140 №№-ში დაბეჭდილი იყო ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის შესახებ ჩემი წერილი, რომელშიაც შეცდომით არის მოხსენებული, რომ ვითომ ამ სასწავლებლიდამ სემინარიაში შ სასწავლებლად წარედგინოთ სამი მოსწავლე. სამის მაგივრად უნდა იყოს რვა. კნინი

## განცხადებანი


ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

**ჰიგიენური**

ბორნო-ცვიმოლის საპონი

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამლასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობ ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპნი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ალმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრიგნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—20)


**მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოების დეპოს** გამგეობა სთხოვს დეპოს წევრებს მობრძანდნენ სოფ. ქვემო-მაჩხაანში აგვისტოს 2 ს, კვირას, დილის 8 საათზედ, დეპოს დარბაზში წლიურ კრებაზედ დასასწრებლად.

საგანი კრებისა:

1, დეპოს ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;

2, სხვა-და-სხვა ღონისძიებათა დასახელება დეპოს წევრთა და მუშტართა გამრავლებისათვის და თანხაალებ-მიცემობის გაძლიერებისათვის;

3, მომავალის წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და სამოქმედო გეგმის განხილვა;

4, მარშანდელ კრებისაგან ამორჩეულ კომისიის დადგენილებათა მოსმენა და დამტკიცება;

5, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა ამორჩევა;

6, მოხსენება სოფლის მეურნეთა სხვა-და-სხვა ჭირნახულის სამაზრო ამბარ-საწყობთა დაარსების შესახებ.

დეპოს გამგეობა: დ. ნადირაძე, დ. ჯავახიშვილი, ი. გომელაური (3—ნ.—1)


ТОВАРИЩЕСТВО

**Брокаръ и К°.**

ИЗОБРѢТАТЕЛИ

**ГЛИЦЕРИНОВОЙ ПУДРЫ.**

СРЕДСТВО ДЛЯ СМЯГЧЕНІЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.

Коробка съ пуховк. 80 к.




Коробка безъ пуховки 50 к.

(11—მ.—2)


„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

ქართველთ ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა „ . . . . | | 20 |
| წყარო წიგნი II მისივე . | „ | 50 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . . | „ | 40 |
| როგორა ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| წყარო არ. ქუთათელაძისა I წიგნი . . . . . . | „ | 40 |
| გედევი. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| ბიროემანსი. კარგარეთელისა . . . . | 1 | „ |
| ვავილთა შორის საყმაწვილო წიგნი სურათებით, მშვენიერის ყდით . . | 1 | „ |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით და მშვენიერის ყდით . . . | 1 | „ |
| სურათი მეფე ერეკლესი ყმაწვილობის დროს . | „ | 25 |
| ანვაზე საკერი ანბანი . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |


**ზეითუნის ზეთი კელერისა**

საგანგებოდ დამზადებულია ნიცაში და ისყიდება **ყველგან ყველა** დიდ ვაჭართან.

ეს ზეთი მზადდება მხოლოდ მასში ახლად დაკრეფილის, კარგად შემოსულისა და არჩეულის ზეთის-ხილისაგან. (3—მ.—1).



დაიბეჭდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

**ქართლის ცხოვრება**

წიგნი მეორე, ტომი პირველი

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა

**ფასი ერთი მანათი.** (3—უ.—3).


### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

| უმთავრესი სადგურები | მატარ. № 1 ბაქოდგან ბათუმამდე | | მატარ. № 2 ბათუმიდგან ბაქომდე | | მატარ. № 3 ბაქოდგან ბათუმამდე | | მატარ. № 4 ბათუმიდგან ბაქომდე | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შედის | გამოდ. | შედის | გამოდ. | შედის | გამოდ. | შედის | გამოდ. |
| ბათუმი | 8.47 | — | — | 8.20 | 8 33 | — | — | 8.35 |
| სამტრედია | 5.31 | 5.46 | 11.21 | 11.36 | 4.50 | 5.05 | 12.05 | 12.20 |
| ყვირილა | 3.37 | 3.47 | 1.22 | 1.32 | 2.48 | 2 58 | 2.16 | 2.26 |
| ხაშური | 12.41 | 12.56 | 4.38 | 5.00 | 11.47 | 12.02 | 5 26 | 5.41 |
| გორი | 11.23 | 11.32 | 6.06 | 6.18 | 10.23 | 10.33 | 6.45 | 6.55 |
| ტფილისი | 8.26 | 9.10 | 8.22 | 9.05 | 6.33 | 7.48 | 9.07 | 10.57 |
| აქსტაფა | 5.23 | 5.32 | 11.43 | 11.51 | 2.53 | 3.18 | 1.45 | 2.08 |
| განჯა | 2.23 | 2.37 | 2.35 | 2.55 | 11.39 | 11.54 | 5.18 | 5.40 |
| უჯარა | 10.43 | 10.53 | 6.08 | 6.20 | 7.39 | 7.49 | 9. 4 | 9.24 |
| აჯიქაბული | 7.29 | 7.44 | 9.19 | 9.30 | 3.57 | 4.17 | 1.00 | 1.25 |
| ბაქო | — | 4.05 | 12.59 | — | — | 12.20 | 5.45 | — |

შენიშვნა: შავს ხაზებში მოქცეული საათი და წუთი ღამესა გვიძნავს, უხაო—დღეს.

სამტრედიასა და ფოთს შორის ორი მატარებელი დადის: პირველი სამტრედიიდგან გადის დილის 5 საათსა და 05 წუთ. და ფოთში შედის დილის 7 საათსა და 42 წუთ., მეორე—სამტრედიიდგან გადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ფოთში შედის საღამოს 10 ს. 08 წ.; პირველი—ფოთიდგან გამოდის საღამოს 8 ს. 55 წ. და სამტრედიაში მოდის საღ. 11 ს. 30 წ., მეორე ფოთიდგან გამოდის დილის 6 ს. 27 წ., სამტრედიაში მოდს დილის 8 ს. 55 წ.

სამტრედიასა და რიონს შორის; სამტრედიიდგან გადის დილის 9 ს. 10 წ., რიონში ჩადის დილის 10 ს. 02 წ. და ესევე მატარებელი რიონიდგან ქუთაისს გადის 10 ს. 10 წ. და ქუთაისში ჩადის 10 ს. 35 წ.

რიონიდგან ქუთაისსვე გადის მატარებელი დილის 5 ს. 30 წ., ქუთაისს ჩადის 5 ს. 55 წ., ქუთაისიდგან რიონს გამოდის დღის 5 ს. 20 წ., რიონში ჩადის 5 ს. 45 წ.

შორაპან-რიონი. შორაპნიდგან გადის დილის 7 ს., რიონში ჩადის დილის 8 ს. 11 წ., რიონიდგან გადის დღის 2 ს. 53 წ., შორაპანში ჩადის დღის 4 ს. 02 წ. ეს მატარებელი შორაპანსა და ქუთაისს შორის პირდაპირ დადის და მგზავრთ სხვა მატარებელში გადასხდომა არა სჭირდებათ.

**რკინის გზის საქალაქო მატარებლების მიმოსვლა.**

ტფილისსა და გორს შორის: ტფილისიდგან გადის დილის 10 ს. 15 წ., გორში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 48 წ., გორიდგან გამოდის საღამოს 7 ს., ტფილისში ჩამოდის საღამოს 9 ს. 18 წ.

ტფილისსა და ბორჯომს შორის: ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 2 ს. 30 წ., გორში ჩადის 4 ს. 58 წ., ხაშურში—საღამოს 6 ს. 29 წ., ბორჯომში—7 ს. 50 წ., ბორჯომიდგან გამოდის ღამის 1 ს. 44 წ., ხაშურში ჩამოდის ღამის 2 ს. 54 წ., გორში—ღამის 4 ს. 33 წ. და ტფილისში—დილის 7 ს. 33 წ.

ტფილისსა და მცხეთას შორის: ტფილისიდგან ორი მატარებელი გადის—ერთი—დილის 8 ს. 20 წ., და მცხეთაში ჩადის დილის 9 ს. 16 წ., მეორე—ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 5 ს. 20 წ., მცხეთაში ჩადის საღამოს 6 ს. მცხეთიდგანაც ორი მატარებელი მოდის ტფილისისაკენ: პირველი მცხეთიდგან გამოდის დილის 10 ს. 8 წ. და ტფილისში ჩამოდის—10 ს. 52 წ. მეორემცხეთიდგან გამოდის საღამოს 6 ს. 45 წ., ტფილისში ჩამოდის—7 ს. 23 წ.

ბათუმსა და ქობულეთს შორის: ბათუმიდგან სამი მატარებელი გადის: ერთი—დილის 7 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის—დილისვე 8 ს. 15 წ., მეორე—ნაშუადღევის 2 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის 3 ს. 10 წ., მესამე—ნაშუადღევს 5 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის საღამოს 6 ს. 10 წ.; ობულეთიდგანაც სამი მატარებელი მიდის ბათუმს: პირველი—დილის 11 ს. 15 წ. და ბათუმში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 12 წ., მეორე—ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. და ბათუმში ჩადის 4 ს. 37 წ., მესამე—საღამოს 6. ს. 45 წ. და ბათუმში ჩადის საღამოსავე 7 ს. 40 წ.

## ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 ივლისისათვის 1898 წლისა.

(საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება 1895 წლის 17 ივლისს)

**აქტივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | საზოგადოების კასსა . . . . . . . . . | 11183 | 53 |
| II. | მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . . . . . | 4091 | 30 |
| III. | „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . . . . . . . | 44444 | 78 |
| IV. | სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . . . . . . . . | 2317 | 25 |
| V. | განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი . . . . . . . . . . . | 184364 | — |
| VI. | გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| | ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . . 1161—50 | | |
| | ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 8699—20 | | |
| | გ) საქონელზედ . . . . . 8469— — | | |
| | დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 3692—73 | 22022 | 43 |
| VII. | დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . . . | 180 | 97 |
| VIII. | მოწყობა-მომართვა . . . . . . . . | 885 | 17 |
| IX. | გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | 10 | 98 |
| X. | სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . . | 357 | 41 |
| XI. | მიმდინარე ხარჯი . . . . . . . . . | 5177 | 48 |
| XII. | პროტესტში წასული თამასუქები . . . . . . | 430 | — |
| XIII. | განაღდ. სავადო ქაღალდებისა კუპონებისა და სხ. | 3591 | 43 |
| XIV. | სათადარიგო თანხის სარგებლიან ქაღალდების სარგებელი . . . . . . . . . . . | — | — |
| | ს უ ლ | 279056 | 73 |

**პასსივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 631 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . . . . | 68956 | — |
| II. | სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს). . | 2403 | 19 |
| III. | შემოტანილი ფული: | | |
| | ა) მიმდინარე ანგარიშით . . . . 95619—86 | | |
| | ბ) ვადით . . . . . . . . 89200—— | | |
| | გ) უვადოდ . . . . . . . . . 1000—— | 185819 | 86 |
| IV. | გარდასაცემი თანხა . . . . . . . . . | 1593 | 94 |
| V. | გარდასახდელი სარგებელი . . . . . . . | 1218 | 27 |
| VI. | გადაგირავება თამასუქებისა. . . . . . . | 11200 | — |
| VII. | სახელმწიფო 5°/₀-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . . . . . | 121 | 06 |
| VIII. | მიღებული სარგებელი, გარდახდილს გარდა . . | 7233 | 72 |
| IX. | წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად . . . . . . . . . . . | 500 | — |
| X. | სათადარიგო თანხ. სარგებლიან ქაღ. სარგებელი. | 10 | 69 |
| | ს უ ლ | 279056 | 73 |
| | პასუხის-მგებლობა 631 წევრისა 10°/₀-იან შემოსატანს გარდა . . . . . . . . | 620604 | — |
| | საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება . . . . . . . . . . . | 4900 | — |
| | თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . . | 950 | — |

(1—ნ.—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 24 го Іюля. 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.